

ბავშვთა ასაკის მართვადი ინფექციების პროფილაქტიკის მენეჯმენტი

მარიამ იზორია¹, ვასილ ტყემელაშვილი²

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

¹მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; ²ზელმძღვანელი, მედიცინის

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქ.თბილისში 2008-2012 წლებში რეგისტრირებული იქნა წითელას 56 და წითურას 453 შემთხვევა. ჩატარდა დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევა. ASR-ს მიხედვით 2008-2012 წლებში ყოველ 100,000 მოსახლეზე წითელათი ავადდებოდა 0,2, ხოლო წითურათი-1,7 პაციენტი. 2013 წ. აღინიშნა წითელათი ავადობის მკვეთრი მატება. ASR-ს მიხედვით 2013 წელს ყოველ 100,000 მოსახლეზე წითელათი ავადდებოდა 385,7 პაციენტი. ამავე დროს, ai-ს მიხედვით, წითელათი ავადობის მაღალი დონეები აღინიშნა ასაკობრივ ჯგუფებში 0-4 (638,7‰) და 5-9 (668,0‰) წელი. წითელათი ავადობის საშუალო დონესთან შედარებით მაღალი სიხშირე აღინიშნა გლდან-ნამალადევისა და ისანი-სამგორის ადმინისტრაციულ რაიონებში, ხოლო დაბალი დონე- ვაკე-საბურთალოს რაიონში. ASR-ს მიხედვით ყოველ 100,000 მოსახლეზე წითურათი ავადდებოდა 36,8 პაციენტი. ამავე დროს, წითურათი ავადობის განსაკუთრებით მაღალი დონე აღინიშნა ასაკობრივ ჯგუფში 0-4 წელი (219,3‰). დინამიკაში (2008-2012/2013) აღინიშნა წითელათი და წითურათი ავადობის განსაკუთრებით მკვეთრი მატება 0-4 (შესაბამისად, 0,6‰-638,7‰ და 19,9‰-219,3‰) და 5-9 წლის (შესაბამისად, 1,1‰-668,0‰ და 5,4‰-54,4‰) ასაკობრივ ჯგუფებში. TASR-ს მიხედვით დინამიკაში აღინიშნა წითელათი და წითურათი ავადობის მკვეთრი მატება ასაკობრივ პერიოდებში 0-9 (შესაბამისად, 0,8‰-652,0‰ და 13,3‰-144,4‰) და 0-19 (შესაბამისად, 0,6‰-571,3‰ და 7,8‰-86,6‰) წლები. დინამიკაში აღინიშნა წითელათი (ASR: 0,2‰-385,7‰), განსაკუთრებით, და წითურათი (ASR: 1,7‰-36,8‰) ავადობის მკვეთრი მატება. SRR-ის მიხედვით დინამიკაში ქ.თბილისში წითელათი ავადობამ მოიმატა 1928,5-ჯერ (!), ხოლო წითურათი- 21,6-ჯერ. SRR-ის მიხედვით, თუ 2008-2012 წწ. წითურათი ავადობის სიხშირე 8,5-ჯერ აღემატებოდა წითელათი ავადობის სიხშირეს, 2013 წ. წითურასთან შედარებით წითელას მკვეთრი მატების (SRR=89,3) ფონზე უკვე წითელათი ავადობის სიხშირე 10,5-ჯერ აღემატებოდა წითურათი ავადობის სიხშირეს. SIR-ის მიხედვით დინამიკაში წითელათი ავადობამ მოიმატა 32855%-ით (!), ხოლო წითურათი- 141%-ით. AAR-ს მიხედვით 2013 წელს ყოველ 100,000 მოსახლეზე წითელათი ავადდებოდა ვაკე-საბურთალოს რაიონში 315.3, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში- 336.6. AAR-ს მიხედვით ყოველ 100,000 მოსახლეზე წითურათი ავადდებოდა ვაკე-საბურთალოს რაიონში 6,2, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში- 8,1. SRR-ის მიხედვით, 2013 წელს წითელათი ავადობის სიხშირე 12,1-ჯერ აღემატებოდა წითურათი ავადობის სიხშირეს ისანი-სამგორის რაიონში, ხოლო ვაკე-საბურთალოს რაიონში- 17,3-ჯერ. ამავე დროს, ვაკე-საბურთალოს რაიონთან შედარებით ისანი-სამგორის რაიონში წითელათი ავადობის სიხშირე იყო 1,7-ჯერ მაღალი, ხოლო წითურათი- 2,4-ჯერ. წითელათი ავადობის მკვეთრად მატების მიზეზების გამოვლენის მიზნით დამატებით ჩატარდა პროსპექტული კვლევა. ინტერვიუებისათვის შეირჩა თბილისის 6 პოლიკლინიკის 30 პედიატრი. გამოკითხულთა 50%-ის მოსაზრებით, მათი დაწესებულების მოქმედების არეალში აღინიშნება ბავშვთა მოსახლეობის იმუნოზაციით დაბალი მოცვა, რაც გამოკითხულთა 83%-ს აზრით დაკავშირებულია არსებულ ხარვეზებთან დაფინანსების მენეჯმენტში. წითელათი ავადობის მკვეთრ მატებას გამოკითხულთა 80% უკავშირებს 2008 წლის იმუნოზაციის პროგრამის ჩავარდნას, 33%-მშობლების უყურადღებობას, რაც დაკავშირებულია იმუნოზაციის საკითხებში მათი ინფორმირებულობის დაბალ დონესთან. ვაქცინაციის მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით თბილისის პოლიკლინიკების ინტერვიუებულ პედიატრთა 100% აღნიშნავს სამიზნე კონტიგენტის აღრიცხვიანობისა და დაფინანსების მენეჯმენტის გაუმჯობესების აუცილებლობას.

აბრევიატურა: ASR- წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი, TASR- წლოვანებით სტანდარტიზებული შეკვეცილი მაჩვენებელი, AAR- წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებელი, SRR- სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდება, SIR-სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდება, ai- ასაკისათვის სპეციფიკური სიხშირის მაჩვენებელი.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა ასაკის მართვადი ინფექციები, წითელა, წითურა, ვაქცინაცია, თბილისი.